

# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29  
2018 წლის 13 აპრილი

ქ. გორი

## საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესი დანართი № 1-ის შესაბამისად.

### მუხლი 2

დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი №2-ის შესაბამისად.

### მუხლი 3

დამტკიცდეს განცხადების ფორმა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისთვის დანართი №3-ის შესაბამისად.

### მუხლი 4

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს №58 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 14/08/2015, 010250050.35.174.016100)

### მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის ორგანოების დაწესებულებების და გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების წესისა და პროექტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 მარტის №16 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/03/2016 010250050.35.148.016322 )

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესი

დანართი №1

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის გორის მუნიციპალიტეტის ორგანოების ელექტრონულ რესურსზე განთავსების სამართლებრივ საფუძვლებს.
2. წინამდებარე წესი არეგულირებს გორის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის ზუსტ და დროულ მიწოდებას ვებგვერდზე პროექტიულად განთავსების მიზნით.



## მუხლი 2. ინფორმაციის კატეგორიები

1. ვებგვერდზე განთავსებული პროაქტიული ინფორმაცია საჯარო და უსასყიდლოა.
2. გორის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროაქტიული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებგვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

## მუხლი 3. ვებგვერდზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

1. ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში ამისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი (პირები), ხოლო ვებგვერდზე დროულ და შესაბამის განყოფილებაში განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე – ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

2. პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე იქმნება შესაბამისი განყოფილება – „პროაქტიული გამოქვეყნება“, რომელშიც განთავსდება წინამდებარე წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.

3. პროაქტიული ინფორმაციის განთავსებაზე კონტროლს ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

4. ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. ინფორმაციის თავისებურებებიდან გამომდინარე, ინფორმაცია ვებგვერდზე, განთავსდება PDF, Word ან/და Excel ფორმატში.

5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაცია (პროგრამები, სამართლებრივი აქტები, შესრულების ანგარიშები, განაცხადის/აპლიკაციის ფორმა), ვებგვერდის შესაბამის ნაწილში/განყოფილებაში განთავსების გარდა, ასევე უნდა განთავსდეს ერთ ნაწილში/განყოფილებაში, კონსოლიდირებულად.

6. ამ წესის მე-4 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მისი თავისებურებისა და დანიშნულების გათვალისწინებით ვებგვერდზე განთავსდება Word ან/და Excel ფორმატში. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.

## მუხლი 4. ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

ვებგვერდზე („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით) ქვეყნდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;

დ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;

ე) „საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა (ანგარიში) და წლიური ანგარიშები, საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ე<sup>1</sup>) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების ანგარიშები, მათი



შედგენიდან ან/და წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;

გ<sup>1</sup>) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების პროექტები, მათი შედგენიდან ან/და წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

ი) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ლ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

მ) ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა;

ნ) ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები), რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულ ინფორმაციას (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში);

ო) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში).

პ) ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ჟ) ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების /ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მისამართი, ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის (არსებობის შემთხვევაში) ნომერი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

რ) საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ზოგადი წლიური სტატისტიკა;

ს) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ს<sup>1</sup>) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები/ქვეპროგრამები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის ცვლილებები), მათი ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში). უნდა გამოქვეყნდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცვლილება, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კონსოლიდირებული ვერსია;

ტ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად);



უ) ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;

ფ) ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში).

ქ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებში/ქვეპროგრამებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საპროექტო განაცხადის/განაცხადის/აპლიკაციის ფორმები, მათი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

შენიშვნა: კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასასრულიდან 1 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.

დანართი №2

## საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

### მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილი წესით და ვადებში.
2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.
3. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, მაშინ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას მხარის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა და მხარეს გადახდევინოს თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული ოდენობით.

### მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით მიღებით დაინტერესებულმა მხარემ, ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის თანხლებით ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. აღნიშნული განცხადება უნდა დარეგისტრირდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში ან/და გაიგზავნოს მოთხოვნა ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე – info@gori.gov.ge, ზემოთ ჩამოთვლილ განცხადებასთან თანდართული დასკანერებული დოკუმენტების თანხლებით, თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი №3).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი განცხადება არ განიხილება.

### მუხლი 4. საჯარო ინფორმაციისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:
  - ა) ინფორმაციის ჩაწერისას ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე;
  - ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;



გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მუხლი 5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები და ვადები**

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელგანცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას რეგისტრაციისათვის და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.

2. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილი ვადების დაცვით.

4. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში/გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

### დანართი №3

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს

მოქ. -----,

მცხ. -----

ტელ./მობ.: -----

ორგანიზაციის დასახელება: -----

### განცხადება

გთხოვთ, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-40 მუხლის საფუძველზე, მოგვაწოდოთ ----- (მოთხოვნილი ინფორმაციის დასახელება) ინფორმაცია ელექტრონული სახით. ასევე,

გთხოვთ:

1. მოთხოვნილი ინფორმაცია გადმოგვცეთ ქვემოთ მითითებულ ელფოსტის მისამართზე გადმოგზავნით -----

2. მოთხოვნილი ინფორმაცია ჩაგვიწეროთ კომპაქტურ დისკზე. ასევე თანხმობას ვაცხადებთ, შესაბამისი თანხის მითითებით გადავიხადოთ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა.

3. მოთხოვნილი ინფორმაცია ჩაგვიწეროთ ჩემ/ჩვენ მიერ წარმოდგენილ მეხსიერების ბარათზე/კომპაქტურ დისკზე;



4. მოთხოვნილი ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ წერილობითი ფორმით, ქსეროასლების სახით ან ამოგვიბეჭდოთ ლაზერულ პრინტერზე. ასევე თანხმობას ვაცხადებთ, შესაბამისი თანხის მითითებით გადავიხადოთ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა.

(მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ფორმა)

დაინტერესებული პირი (განმცხადებელი) -----

თარიღი -----

